ინტერპრესნიუსი

საზოგადოება

ბრიუსელში საქართველოს შრომით კანომდებლობას განიხილავენ

15:27 02-05-2011

ბრიუსელში, 4-6 მაისს საქართველოს შრომით კანომდებლობასა და პროფკავშირის უფლებრივ მდგომარეობას განიხილავენ . ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებიდან აცნობეს.

აღნიშნული გაერთიანების ინფორმაციით, საქართველოში შრომითი კანონმდებლობისა და პროფკავშირის უფლებრივი მდგომარეობის განხილვა ბრიუსელში აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მოეწყობა და მასში ევროკომისიისა და ევროპარლამენტის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

ბრიუსელში შეხვედრებს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მაია კობახიძე და საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარე ჰამლეტ ლომიძე გამართავენ. ისინი ევროპელ პარტნიორებთან ერთად საქართველოში დასაქმებულთა უფლებების დაცვისა და სოციალური დიალოგის მხრივ შექმნილ ვითარებაზე იმსჯელებენ.

მასალის გამოყენების პირობები